

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №69/ნ

2019 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24³ მუხლის პირველი პუნქტის, 24⁴ მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

გ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“ ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 1¹

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სრულყოფილად შევსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის (შემდგომში – თვითშეფასების ანგარიში) ფორმა წარდგენილ უნდა იქნეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი).

11. თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება:

ა) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებსა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებსაც აკრედიტაცია/პირობითი აკრედიტაცია მინიჭებული აქვთ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით;

ბ) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებსა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ბრძანების №3 დანართით გათვალისწინებულ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადებამდე ან/და ამ ვადების პერიოდში ცენტრში წარდგენილი იქნებათ სააკრედიტაციო განაცხადი.

2. თვითშეფასების ანგარიშის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №107/ნ - ვებგვერდი, 19.10.2020 წ.

მუხლი 2

დადგინდეს 2018 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით ავტორიზებულ/აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგი ეტაპები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (მათ შორის, ამ



ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/საკრედიტაციო განაცხადში და შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას), გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა – არაუგვიანეს 2020 წლის 30 სექტემბერი;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (მათ შორის, ამ ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში/რომლებიც უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში და შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას), გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა - ამ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თვითშეფასების წარდგენის ვადები;

გ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“ ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №62/ნ - ვებგვერდი, 06.07.2023 წ.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება.

მუხლი 4

1. ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, და ასევე, ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/საკრედიტაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას.

2. ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 5

ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დასრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად ჩაითვალოს ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შედეგად, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად მინიჭებული კვალიფიკაცია.

მუხლი 6

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



დანართი 3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №107/ნ - ვებგვერდი, 19.10.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 05.11.2021წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 6 ივლისის ბრძანება №62/ნ - ვებგვერდი, 06.07.2023 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები

| თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა | სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფერო კოდის მიხედვით |
|---|--|
| 2020 წ. 30 სექტემბერი - 2021 წ. 31 მარტი | 0511, 0512, 0531, 0532, 0533, 0541, 0542, 0588 0911, 0912, 0913, 0915, 0916, 0919, 0923 |
| 2021 წლის 30 სექტემბერი - 2022 წლის 1 მაისი | 0214, 0221, 0223, 0288, 0421 |
| 2021 წლის 30 სექტემბერი - 31 დეკემბერი | 0311, 0312 |
| 2022 წ. 30 სექტემბერი- | 0611, 0612, 0613, 0619 |
| 30 ნოემბერი | 0711, 0712, 0713, 0714, 0715, 0716, 0719, 0722, 0723, 0724, 0731, 0732, 0739, 0788 |
| 2023 წ. 30 სექტემბერი - 2024 წლის 30 სექტემბერი | 0411, 0412, 0413, 0414 |



| | |
|---|---|
| <p>2024 წ.</p> <p>30 სექტემბერი-</p> <p>30 ნოემბერი</p> | <p>0222</p> <p>0313, 0314, 0319, 0321, 0322, 0388</p> <p>1014, 1015, 1019, 1022, 1031, 1032</p> |
| <p>2025 წ.</p> <p>30 სექტემბერი-30 ნოემბერი</p> | <p>0111, 0112, 0113, 0114 (მათ შორის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა).</p> <p>0211, 0212, 0213, 0215</p> <p>0231 (მათ შორის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) 0232, 0239</p> <p>0721</p> <p>0521, 0522</p> <p>0811, 0812, 0821, 0841 (მათ შორის ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა), 0888</p> <p>1041</p> |



ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

მუხლი 1. კვალიფიკაციის დონე

კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს, შემდეგი სახით:

| კვალიფიკაციის დონე | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
|--------------------|--|--|--|
| დონე 1 | საბაზო ზოგადი ცოდნა, რაც ქმნის საფუძველს სოციალური განვითარებისთვის, შემდგომი სწავლისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივი დავალების შესრულებისათვის. საბაზო პრინციპებისა და ფაქტების იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება. | ნაცნობ გარემოში მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესასრულებლად საბაზო უნარების გამოყენება. ამ პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა და სტანდარტული წესებით გადაჭრის უნარი. საკუთარი საქმიანობის შედეგების შესახებ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. | სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ სწავლა ან/და მარტივი დავალების შესრულება. |
| დონე 2 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზო ცოდნა და მისი გააზრება. | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროში, შესაბამისი საბაზო შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება; ნაცნობი პრობლემების გადასაჭრელად სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენება; ფაქტების, პროცესების, მასალების შესახებ საბაზო ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, გაანალიზება, გამოყენება. საკუთარი საქმიანობის შედეგების შესახებ ზეპირი და წერილობითი | სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში სწავლა ან/და რუტინული დავალების შესრულება ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით. საკუთარი საქმიანობის შეფასება. |

| | | | |
|--------|--|--|--|
| | | კომუნიკაცია, არგუმენტირებული მსჯელობა კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. | საკუთარ საქმიანობასა და სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. |
| დონე 3 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება. | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება დავალებების შესასრულებლად; გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა სათანადო წყაროების მოძიებით, ამოცნობით, ანალიზით, ასევე სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით.</p> <p>ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სათანადო ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> | <p>პროგნოზირებად, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში საქმიანობასთან დაკავშირებული დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება და საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.</p> <p>პრობლემის გადასაჭრელად, გარემოების გათვალისწინებით, საკუთარი ქცევის ადაპტირება.</p> <p>საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება, ხელმძღვანელობითა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით სწავლა.</p> |
| დონე 4 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტიური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება.</p> <p>არაერთგვაროვანი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, კრიტიკულად გააზრება, სათანადო მიდგომის იდენტიფიცირება და შესაბამისობის შეფასება.</p> <p>სწავლის ან/და საქმიანობის შესახებ კომუნიკაცია სტრუქტურირებული და თანმიმდევრული არგუმენტების</p> | <p>პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.</p> <p>ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა;</p> <p>სამუშაო და სასწავლო აქტივობების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება.</p> |

| | | | |
|--------|--|--|---|
| | | მეშვეობით, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. | დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა. |
| დონე 5 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს მრავალმხრივი, სპეციალიზებებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) და მისი შესაძლებლობების (საზღვრების) გააზრება | <p>მკაფიოდ განსაზღვრული აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე კომპლექსური დავალების შესასრულებლად სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის, სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი და შეფასება.</p> <p>იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> | <p>სწრაფად ცვალებად (არაპროგნოზირებად) გარემოში საქმიანობის პროცეს(ებ)ის ზედამხედველობა და მართვა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;</p> <p>სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება;</p> <p>საკუთარი და სხვების საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა;</p> <p>საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.</p> |
| დონე 6 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.</p> <p>კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p> <p>სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო</p> | <p>კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.</p> <p>საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება.</p> <p>საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.</p> |

| | | | |
|--------|--|--|---|
| | | <p>დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს.</p> <p>იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> | <p>საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.</p> |
| დონე 7 | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.</p> | <p>უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p> <p>რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები.</p> <p>საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.</p> | <p>კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.</p> <p>პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.</p> <p>სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება;</p> <p>საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.</p> |
| დონე 8 | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას</p> | <p>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება,</p> | <p>აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული</p> |

| | | | |
|--|---|---|--|
| | <p>იმღვევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში.</p> <p>სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.</p> | <p>რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);</p> <p>ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება (კვლევასა ან/და ინოვაციაში).</p> <p>არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის.</p> <p>ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.</p> | <p>დონისძიებების განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე</p> <p>ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.</p> |
|--|---|---|--|

მუხლი 2. არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის მაგისტრატურის არანაკლებ 60-კრედიტიანი პირველი ნაწილისა და არანაკლებ 60-კრედიტიანი მე-2 ნაწილის სწავლის შედეგები და არანაკლებ 60-კრედიტიანი მაგისტრატურის სწავლის შედეგები

| არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის მაგისტრატურის არანაკლებ 60-კრედიტიანი პირველი ნაწილისა და არანაკლებ 60-კრედიტიანი მოცულობის მაგისტრატურის სწავლის შედეგები | | | |
|---|--|---|--|
| კვალიფიკაციის დონე | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| <p>დონე 7</p> | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის</p> | <p>უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და</p> | <p>კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი</p> |

| | | | |
|--|---|--|---|
| | საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის. | დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების წარდგენა, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. | სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. |
|--|---|--|---|

არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის მაგისტრატურის არანაკლებ 60-კრედიტიანი მეორე ნაწილის სწავლის შედეგები

| კვალიფიკაციის დონე | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
|--------------------|--|---|--|
| დონე 7 | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, სწავლის სფეროში ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის. | უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური, ასევე | კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. |

| | | | |
|--|--|---|--|
| | | პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. | |
|--|--|---|--|

მუხლი 3. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

| | განათლების ქვესისტემებში არსებული კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები | პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შედეგად გასაცემი კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები |
|--------|--|--|
| დონე 1 | ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი | |
| დონე 2 | საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი | პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი |
| დონე 3 | საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი | პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი |
| დონე 4 | სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – სრული ზოგადი განათლების ატესტატი საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი | პროფესიული მომზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი |
| დონე 5 | ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი უმადლესი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი | პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი |
| დონე 6 | ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი | |

| | | |
|---------------|---|--|
| <p>დონე 7</p> | <p>მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი (არანაკლებ 120 კრედიტი)</p> <p>მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი (არანაკლებ 60 კრედიტი)</p> <p>აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>კვლევის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი</p> <p>ვეტერინარიის მომზადების სერტიფიკატი</p> | |
| <p>დონე 8</p> | <p>დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი</p> | |

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი

მუხლი 1. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანიშნულება, სტრუქტურა და სწავლის სფეროების კლასიფიცირების პრინციპები

1. სწავლის სფეროების კლასიფიკატორი (შემდგომში – კლასიფიკატორი) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

2. კლასიფიკატორის მიხედვით სწავლის სფეროები კლასიფიცირდება შინაარსობრივი დაჯგუფების პრინციპით და მოიცავს ფართო სფეროს, ვიწრო სფეროს და დეტალურ სფეროს. სწავლის სფეროების კლასიფიცირებისთვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) თეორიული ცოდნის შინაარსი (იდეები და კონცეფციები და მათი გამოყენება ფაქტების ასახსნელად, ასევე შედეგების განსასაზღვრად);
- ბ) სწავლის მიზნები (მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის გამოყენების დაგეგმილი მიზნები);
- გ) შესწავლის/ინტერესის ობიექტი (შესწავლილი მოვლენები, პრობლემები ან საკითხები);
- დ) მეთოდები (ცოდნისა და უნარების შესწავლისა და გამოყენების საშუალებები);
- ე) ინსტრუმენტები და ხელსაწყოები.

3. კლასიფიკატორით დადგენილია 11 ფართო სფერო და თითოეული მათგანი აღინიშნება ორციფრიანი კოდით.

4. კლასიფიკატორით დადგენილია 29 ვიწრო სფერო, რომლებიც ფართო სფეროს განშტოებაა და აღინიშნება სამციფრიანი კოდით, სადაც შესაბამის ფართო სფეროს კოდს ემატება ვიწრო სფეროს კოდის აღმნიშვნელი ციფრი პირველიდან რიგითობის მიხედვით.

5. კლასიფიკატორით დადგენილია 80 დეტალური სფერო, რომლებიც ვიწრო სფეროს განშტოებაა და აღინიშნება ოთხციფრიანი კოდით, სადაც შესაბამის ვიწრო სფეროს კოდს ემატება დეტალური სფეროს კოდის აღმნიშვნელი ციფრი პირველიდან რიგითობის მიხედვით.

6. კლასიფიკატორით დადგენილია არაკლასიფიცირებული დეტალური სფერო. არაკლასიფიცირებული დეტალური სფერო ვიწრო სფეროს განშტოებაა და აღინიშნება ოთხციფრიანი კოდით, სადაც შესაბამის ვიწრო სფეროს კოდს ემატება არაკლასიფიცირებული დეტალური სფეროს კოდის აღმნიშვნელი ციფრი „9“.

7. კლასიფიკატორით დადგენილია ინტერდისციპლინური ვიწრო და დეტალური სფეროები. ინტერდისციპლინური ვიწრო სფერო არის ფართო სფეროს განშტოება და აღინიშნება სამციფრიანი კოდით, სადაც შესაბამის ფართო სფეროს კოდს ემატება ინტერდისციპლინური ვიწრო სფეროს კოდის აღმნიშვნელი ციფრი „8“. ინტერდისციპლინური დეტალური სფერო არის ვიწრო სფეროს განშტოება, რომელიც აღინიშნება ოთხციფრიანი კოდით, სადაც ფართო სფეროს კოდს ემატება ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს აღმნიშვნელი ციფრი „88“.

8. ფართო სფეროებიდან პირველი – „განათლების ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები“, რომელიც აღინიშნება კოდით „00“, აერთიანებს პროგრამებსა და კვალიფიკაციებს, რომლებიც არ არიან კონცენტრირებული განათლების ერთ რომელიმე სფეროზე, არამედ განზოგადებულად მოიცავენ სწავლის სხვადასხვა სფეროს და არ არიან უმაღლესი განათლების სწავლის სფეროს ნაწილი.

მუხლი 2. დეტალურ სფეროში სწავლის სფეროების კლასიფიცირების პრინციპები

1. კლასიფიკატორით დადგენილ დეტალური სფეროს პირველ სვეტში, სწავლის შედეგების შესაბამისად, კლასიფიცირებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის სფეროები, დეტალური სფეროს მე-2 სვეტში – მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სწავლის სფეროები, ხოლო დეტალური სფეროს მე-3 სვეტში – მხოლოდ პროფესიული განათლების სწავლის სფეროები.
2. დეტალური სფეროს ქვეშ პირველ და მე-2 სვეტებში განთავსებული სწავლის სფეროების კოდების პირველი ორი ციფრი არის ფართო სფეროს კოდი, შემდეგი ორი ციფრი აღნიშნავს ვიწრო სფეროს კოდს პირველიდან რიგითობის მიხედვით. აღნიშნულ ოთხ ციფრს წერტილის შემდეგ პირველ სვეტში ემატება ციფრი „1“ და წერტილი, შემდეგ ციფრები პირველიდან რიგითობის მიხედვით, ხოლო მე-2 სვეტში წერტილის შემდეგ ციფრი „2“ და წერტილი, შემდეგ ციფრები პირველიდან რიგითობის მიხედვით.
3. დეტალური სფეროს ქვეშ მე-3 სვეტში განთავსებული სწავლის სფეროების კოდების პირველი ორი ციფრი არის ფართო სფეროს კოდი, შემდეგი ორი ციფრი აღნიშნავს ვიწრო სფეროს კოდს პირველიდან რიგითობის მიხედვით. აღნიშნულ ოთხ ციფრს წერტილის შემდეგ ემატება ციფრი „3“ და წერტილი, შემდეგ ციფრები პირველიდან რიგითობის მიხედვით.
4. არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში კლასიფიცირდება მხოლოდ ის სწავლის სფერო, რომელიც მიეკუთვნება მოცემულ ვიწრო სფეროს, მაგრამ არ კლასიფიცირდება ამ ვიწრო სფეროსთვის კლასიფიკატორით დადგენილ არცერთ დეტალურ სფეროში. არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში განთავსებულ სწავლის სფეროს, პირველ რიგში, კავშირი აქვს ვიწრო სფეროსთან და შეიძლება მხოლოდ ამ საფუძვლით უკავშირდებოდეს იმავე არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში არსებულ სხვა სწავლის სფეროებს.
5. საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია. არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) შეადგენს არანაკლებ 120 კრედიტს.
6. ინტერდისციპლინურია სწავლის სფერო, რომელიც მოიცავს რამდენიმე დეტალურ, ვიწრო ან/და ფართო სფეროს. საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება ინტერდისციპლინურ სწავლის სფეროს იმ შემთხვევაში, თუ მათში ამ ინტერდისციპლინურ სწავლის სფეროში შემავალი არცერთი დეტალური, ვიწრო ან/და ფართო სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) არ არის 50%-ზე მეტი.
7. ინტერდისციპლინური სწავლის სფეროები კლასიფიცირდება იმ ვიწრო სფეროს შესაბამისი ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს ქვეშ, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით, ხოლო თანაბარი ხვედრითი წილის მქონე სწავლის სფეროების შემთხვევაში – იმ ვიწრო სფეროს შესაბამისი ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს ქვეშ, რომელიც მის დასახელებაში, რიგითობის მიხედვით, პირველ ადგილას არის მოხსენიებული. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
8. ინტერდისციპლინური სწავლის სფერო, რომელსაც ამ დოკუმენტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის

ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრული აქვს დეტალური სფერო, კლასიფიკატორის მიხედვით კლასიფიცირდება იმავე დეტალური სფეროს ქვეშ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 8 აპრილის ბრძანება №53/5 - ვებგვერდი, 15.04.2026წ

მუხლი 3. სწავლის სფეროები

| ფართო სფერო | ვიწრო სფერო | დეტალური სფერო | |
|---|--|--|--|
| 00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები General Programmes and Qualifications | 001 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები Basic Programmes and Qualifications | 001.1 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები Basic Programmes and Qualifications | |
| | 002 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება Literacy and Numeracy | 002.1 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება Literacy and Numeracy | |
| | | 002.1 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება | |
| | 003 პიროვნული უნარები Personal Skills and Development | 003.1.1 პიროვნული უნარები Personal Skills and Development | |
| ფართო სფერო | ვიწრო სფერო | დეტალური სფერო | |
| 01 განათლება Education | 011 განათლება Education | 0111 განათლების მეცნიერება Education Science განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს. Is the study of the learning process and the theories, methods, and techniques of imparting knowledge to others. It also studies the political, economic, social, cultural, technological, psychological, philosophical, and management aspects of education | |
| | | 0111.1.1 განათლების მეცნიერება Education Science | 0111.2.1 განათლების პოლიტიკა Education Policy |
| | | 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება Training for Pre-school Teachers შეისწავლის ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლამდელ ან ადრეული განათლების | |

| | | |
|--|---|--|
| | | <p>დონეებზე, მცირეწლოვანი, არაუმეტეს 7 წლის ასაკის მქონე ბავშვების სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას. Is the study of the theories, methods and practice of teaching very young children up to 7 years of age within formal school settings at pre-primary or early childhood educational development levels.</p> |
| | <p>0112.1.1 სკოლამდელი განათლება Preschool Education</p> | <p>0112.3.1 სკოლამდელი აღზრდა Preschool Education</p> |
| | | <p>0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე Teacher Training without Subject Specialization შეისწავლის 5-დან 15 წლამდე ასაკის მქონე ბავშვებისთვის კითხვის, წერის და მათემატიკის ფუნდამენტური უნარების განვითარების, ასევე ისტორიის, გეოგრაფიის, სოციალური მეცნიერებისა და სხვა საგნების ელემენტარული გაგების სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საფუძვლების შექმნას, ასევე მოიცავს ზრდასრულთათვის საბაზო წერა-კითხვის სწავლების და მასწავლებლის ასისტენტის პროგრამებს. ეს დეტალური სფერო მოიცავს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლებას, ასევე ზრდასრულებისთვის საბაზო წერა-კითხვის სწავლებასა და იმიგრანტებისთვის ამ ტიპის უნარების სწავლებას თავიანთ მშობლიურ ან პირველ ენაზე. Is the study of the theories, methods and practice of providing children between approximately 5 and 15 years of age with the fundamental skills in reading, writing and mathematics along with an elementary understanding of other subjects such as history, geography, social science etc. and laying the foundation for lifelong learning. The study of teaching adults basic literacy and numeracy skills is included here. Teacher's aide (teaching assistant) is also included here. The study of teaching children with special needs is included in this detailed field, likewise the study of teaching adults fundamental reading and writing skills and teaching immigrants these types of skills in their home or first language.</p> |
| | <p>0113.1.1 სპეციალური განათლება (მასწავლებლის განათლება) Special Education (Teacher Education)</p> | |

| | | | |
|---|---|---|--|
| | | <p>0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით Teacher Training with Subject Specialization შეისწავლის ერთ-ერთი საგნის სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომელიც ძირითადად მიეკუთვნება განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურს.</p> <p>Is the study of the theories, methods and practice of teaching a specific subject, mostly at secondary or higher levels of education.</p> | |
| | | <p>0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება Subject/Subject Group Teacher Education</p> | <p>0114.3.1 ფიზიკური აღზრდა Physical education</p> |
| | | <p>0119 განათლება – არაკლასიფიცირებული Education, not elsewhere classified</p> | |
| | <p>018 ინტერდისციპლინური Interdisciplinary</p> | <p>0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას Inter-disciplinary – involving education</p> <p>0188.2.1 განათლების ადმინისტრირება Education Administration</p> | |
| <p>02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities</p> | <p>021 ხელოვნება Arts</p> | <p>0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production</p> <p>შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას. ასევე, მოიცავს პროგრამებსა და კვალიფიკაციებს ფერის რეპროდუქციის მეთოდებზე, ფოტოგრაფიასა და კომპიუტერულ გრაფიკას. შეისწავლის სურათების, სიტყვებისა და დეკორაციების კომბინირებას წიგნების, ჟურნალების, პოსტერების, რეკლამების და ა.შ. წარმოებისათვის.</p> <p>is the study of techniques and skills to produce books or newspapers, radio or TV production, film or video production, recorded music production and graphic reproduction. It includes programmes and qualifications in methods of colour reproduction, photography and computer graphics. Study of combining pictures, words and decorations in the production of books, magazines, posters, adverts etc</p> | |

| | | | | |
|--|--|--|---|---|
| | | <p>0211.1.1 აუდიოვიზუალური ხელოვნება Audiovisual Arts</p> <p>0211.1.2 კინო-ტელეხელოვნება Film-TV Arts</p> <p>0211.1.3 აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)</p> <p>0211.1.4 საოპერატორო ხელოვნება (კინო, ტელე) Camera Operating</p> <p>0211.1.5 ფოტოხელოვნება Photography</p> <p>0211.1.6 მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media</p> <p>0211.1.7 მულტიმედია დიზაინი Multimedia Design</p> <p>0211.1.8 გრაფიკული დიზაინი Graphic Design</p> <p>0211.1.9 (ამოღებულია - 30.12.2022, №148/ნ)</p> <p>0211.1.10 ილუსტრირება Illustration</p> <p>0211.1.11 მონტაჟის ხელოვნება Film-TV editing</p> <p>0211.1.12 ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია Print Media/Typography</p> <p>0211.1.13 – ვიზუალური კომუნიკაცია Visual</p> | <p>0211.2.1 ციფრული მოდელირება და პროექტირება (ხელოვნება) Digital Modelling and Design (art)</p> <p>0211.2.2 ციფრული და მხატვრული ანიმაცია Digital and Artistic Animation</p> <p>0211.2.3 (ამოღებულია - 30.12.2022, №148/ნ)</p> | <p>0211.3.1 ფოტოგრაფია Photography</p> <p>0211.3.2 ტელერეჟისურა TV Directing</p> <p>0211.3.3 ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება Camera Operating</p> <p>0211.3.4 ვიდეომონტაჟი Video Editing</p> <p>0211.3.5 ტელეეთერის დიზაინი TV Graphic Design</p> <p>0211.3.6 (ამოღებულია - 02.04.2026, №46/ნ)</p> <p>0211.3.7 ციფრული ხელოვნება Digital Art</p> <p>0211.3.8 (ამოღებულია - 02.04.2026, №46/ნ)</p> <p>0211.3.9 ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები Print Media Technologies</p> <p>0211.3.10 გრაფიკული დიზაინი Graphic Design</p> <p>0211.3.11 2D ანიმაციის შესრულება 2D Animation</p> <p>0211.3.12 3D ანიმაციის შესრულება 3D Animation</p> |
|--|--|--|---|---|

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | | Communication | | |
| | | 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი Fashion, Interior and Industrial Design | | |
| | | <p>შეისწავლის ხაზის, ფორმისა და ქსოვილის/სტრუქტურის კრეატიულ კომბინირებას სამოსის, ინდუსტრიული პროდუქციის და ინტერიერის დაგეგმვისა და შექმნისთვის.</p> <p>Is the study of creatively combining line, form and fabric in designing and constructing e.g. fashion garments, industrial products and interiors.</p> | | |
| | | 0212.1.1 დიზაინი Design 0212.1.2 სამრეწველო დიზაინი Industrial Design 0212.1.3 მოდის დიზაინი Fashion Design 0212.1.4 ტექსტილის დიზაინი Textile Design 0212.1.5 ინტერიერის დიზაინი Interior Design | | |
| | | 0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts | | |
| | | <p>შეისწავლის შემოქმედებითად გამოხატვის ვიზუალურ ფორმებს მ.შ. სახვითი ხელოვნების თეორიას, ისტორიას და ასევე ტექნიკას, შესრულებასა და შექმნას.</p> <p>Is the study of visual forms of creative expression, dealing with theory, history, techniques, performance and production in fine arts.</p> | | |

| | | | | |
|--|--|--|--|---|
| | | <p>0213.1.1 სახვითი ხელოვნება Fine Arts 0213.1.2 ფერწერა Painting 0213.1.3 ქანდაკება Sculpture 0213.1.4 ხატწერა Icons 0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია /ხელოვნებათმცოდნეობა Art History and Theory /Art Studies 0213.1.6 გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება Graphic Art</p> | <p>0213.2.1 თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება) Stage Scenery Painting /Scenography</p> | <p>0213.3.1 სახვითი ხელოვნება Fine Arts</p> |
| <p>0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) Applied Art/Handicraft</p> <p>შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს.</p> <p>Is the study of techniques and skills in a chosen craft, such as jewellery, pottery, weaving, woodcarving etc.</p> | | | | |
| | | <p>0214.1.1 მხატვრული მინა Glass Arts 0214.1.2 მხატვრული კერამიკა Ceramic Arts 0214.1.3 საიუველირო ხელოვნება Jewellery Arts 0214.1.4 ხის მხატვრული დამუშავება Artistic Woodworking</p> | | <p>0214.3.1 ფლორისტიკა Floristry 0214.3.2 ხის მხატვრული დამუშავება Wood Artistic Processing 0214.3.3 ქვის მხატვრული დამუშავება Stone Artistic Processing 0214.3.4 ლითონის მხატვრული დამუშავება Metal Artistic Processing 0214.3.5 საიუველირო საქმე Jewellery 0214.3.6 საიუველირო და სანახელო ქვების დამუშავება Gemstone Cutting/ Lapidary 0214.3.7 მომინანქრება Enamelling 0214.3.8 კერამიკული ნაკეთობის დამზადება Ceramics 0214.3.9 მხატვრული ქსოვა Artistic Knitting 0214.3.10 ქარგვა Embroidering 0214.3.11 თექის დამზადება Felt</p> |

| | | | | |
|---|--|--|--|--|
| | | | | Preparation 0214.3.12 მინის მხატვრული დამუშავება Glass Artistic Processing |
| <p>0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება</p> <p>Music and Performing Art</p> <p>შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, პანტომიმა, მხატვრული სახის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ხელოვნება) დაკავშირებულ პრინციპებსა და ტექნიკას, ასევე მოიცავს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლას.</p> <p>Is the study of the principles and techniques associated with performance involving music, speech, movement, mime, characterisation, improvisation and stage craft. Study of music and performing arts history and theory is included here.</p> | | | | |
| | <p>0215.1.1 სათეატრო ხელოვნება Theatre</p> <p>0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის)</p> <p>Directing (drama, musical theatre, pantomime, puppetry)</p> <p>0215.1.3 თეატროლოგია Theatre Studies</p> <p>0215.1.4 კინომცოდნეობა Film Studies</p> <p>0215.1.5 სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის</p> | <p>0215.2.1 სასცენო მეტყველების კულტურა Culture of Scenic Speech</p> <p>0215.2.2 დრამატურგია (ტელე, კინო, თეატრი) Dramaturgy (TV, Film, Theatre)</p> | <p>0215.3.1 სამუსიკო ხელოვნება Music Art</p> | |

| | | | | |
|--|--|---|--|--|
| | | <p>მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor)</p> <p>0215.1.6 ქორეოგრაფია Choreography</p> <p>0215.1.7 ქორეოლოგია (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) Choreology</p> <p>0215.1.8 სამემსრულებლო ხელოვნება (სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა/საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/კონცერტმანსტერი/ კლავიშოანი საკრავები/ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ჯაზ-ვოკალი/პოპ-მუსიკა/ტრადიციული მუსიკა /ძველებური მუსიკალური საკრავები)</p> <p>Performing Arts (String Instruments/Wind Instruments/ Percussion/Vocal Arts /Choral Conducting /Opera and Orchestral Conducting/Collaborative Piano/ Keyboard Instruments/Jazz Orchestra Instruments/Jazz Vocal/Pop-Music/Traditional Music/Historical Instruments)</p> <p>0215.1.9 კომპოზიცია Composition</p> <p>0215.1.10 ჯაზის ხელოვნება Jazz Studies</p> <p>0215.1.11 მუსიკის თეორია Music Theory</p> | | |
|--|--|---|--|--|

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | | <p>0215.1.12 საეკლესიო მუსიკა Sacred Music</p> <p>0215.1.13 ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა (ლოტბარი/რეგენტი) Georgian Folk- and Sacred Music Conducting</p> <p>0215.1.14 (ამოღებულია - 27.07.2023, №71/5)</p> <p>0215.1.15 მუსიკის ტექნოლოგია Music Thechnology</p> <p>0215.1.16 მუსიკოლოგია Musicology</p> <p>0215.1.17 ეთნომუსიკოლოგია Ethnomusicology</p> <p>0215.1.18 (ამოღებულია - 27.07.2023, №71/5)</p> <p>0215.1.19 სამუსიკო ხელოვნება Music Art</p> | | |
| | | <p>0219 ხელოვნება – არაკლასიფიცირებული Arts, not elsewhere classified</p> | | |
| | | | | |
| | <p>022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) Humanities (except languages)</p> | <p>0221 რელიგია და თეოლოგია Religion and Theology</p> <p>შეისწავლის რელიგიურ შეხედულებებს/რწმენას, კონცეფციებს, სიმბოლოებს, გამოხატვასა და რელიგიურ ტექსტებს.</p> <p>The study of religious beliefs, concepts, symbols, expressions and texts of spirituality.</p> | | |

| | | | | |
|--|--|---|--|---|
| | | 0221.1.1 თეოლოგია Theology 0221.1.2 რელიგიის კვლევები Religious Studies | | |
| <p>0222 ისტორია და არქეოლოგია History and Archaeology</p> <p>ისტორია შეისწავლის წარსულ მოვლენებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის, კონტინენტის ან მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. არქეოლოგია შეისწავლის უძველეს ცივილიზაციებს არქეოლოგიური აღმოჩენების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. ეს სფერო ასევე მოიცავს ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციასა და დაცვას.</p> <p>History is the study of past events, especially the political, social and economic development of a country, a continent or the world. Archaeology is the study of ancient civilisations by scientific analysis of what is found in the ground. Restoration and preservation of artistic heritage are included here.</p> | | | | |
| 0222.1.1 ისტორია History 0222.1.2 არქეოლოგია Archaeology 0222.1.3 ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია Art Restoration | | 0222.2.1 საქართველოს ისტორია History of Georgia 0222.2.2 ქრისტიანობის ისტორია History of Christianity 0222.2.3 სიმკვლეეთმცოდნეობა Ancient Studies | | <p>0223 ფილოსოფია და ეთიკა Philosophy and Ethics</p> <p>შეისწავლის ფილოსოფიას, ეთიკასა და სხვა დაკავშირებულ საგანს, რომელიც შეეხება ცხოვრების რაობას/კონცეფციას.</p> <p>Is the study of philosophy, ethics and related subjects dealing with the conception of life.</p> |

| | | | | |
|---------------------------|---|---|--|--|
| | | 0223.1.1 ფილოსოფია Philosophy | | |
| | | 0229 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) – არაკლასიფიცირებული Humanities (except languages), not elsewhere classified | | |
| | | | | |
| 023 ენები Languages | 0231 ენის დაუფლება Language Acquisition შეისწავლის იმ ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას, რომელიც ისწავლება როგორც მეორე ან უცხოური ენა. ის მოიცავს შესაბამისი კულტურის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლასაც, თუ ეს დისციპლინები დაკავშირებულია შესასწავლ ენასთან და წარმოადგენს პროგრამის ან კვალიფიკაციის ნაწილს. ეს დეტალური სფერო ასევე მოიცავს კლასიკურ და მკვდარ ენებს. Is the study of the structure and composition of languages taught as second or foreign languages. It includes the study of related cultures, literature, linguistics and phonetics if related to the specific language being acquired and forms part of the same programme or qualification. Classical or dead languages are included here | | | |
| | 0231.1.1 აფხაზური ფილოლოგია (აფხაზური როგორც მეორე ენა) Abkhasian Philology | 0231.2.1 ლექსიკოგრაფია Lexicography | | |
| | 0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია/ანგლისტიკა English Philology/Anglistics | 0231.2.2 თარგმანმცოდნეობა Translation and Interpreting Studies | | |
| | 0231.1.3 გერმანული ფილოლოგია/გერმანისტიკა German Philology/Germanistics | | | |
| | 0231.1.4 სკანდინავიური ფილოლოგია/სკანდინავის- ტიკა Scandinavian Philology/Scandinavian Studies | | | |
| | 0231.1.5 რომანული ფილოლოგია Romance Philology | | | |
| | 0231.1.6 ფრანგული | | | |

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | | <p>ფილოლოგია French Philology 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა /Spanish Philology/Spanish Studies 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტი კა/ Italian Philology/Italian Studies 0231.1.9 კლასიკური ფილოლოგია Classics 0231.1.10 ბიზანტიური ფილოლოგია Byzantine Philology 0231.1.11 ახალი ბერძნული ფილოლოგია Modern Greek Philology 0231.1.12 სლავური ფილოლოგია/სლავისტიკა Slavic philology/ Slavonic Studies 0231.1.13 უკრაინული ფილოლოგია Ukrainian Philology 0231.1.14 რუსული ფილოლოგია Russian Philology 0231.1.15 სომხური ფილოლოგია/არმენოლოგია Armenian Philology/ Armenology 0231.1.16 თურქული ფილოლოგია /თურქოლოგია Turkish Philology/Turkology 0231.1.17 სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა</p> | | |
|--|--|--|--|--|

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | | <p>Persian Philology/Persian Studies 0231.1.18 არაბული ფილოლოგია/ არაბისტიკა Arabic Philology /Arabic Studies 0231.1.19 ასირიოლოგია Assyriology 0231.1.20 ებრაული ფილოლოგია/ებრაისტიკა Hebrew Philology/ Hebrew 0231.1.21 ებრაულ-არამეული ფილოლოგია / Hebrew – Aramaic Philology 0231.1.22 იაპონური ფილოლოგია/ იაპონისტიკა Japanese Philology/Japanese Studies 0231.1.23 სინოლოგია Sinology</p> | | |
| | | <p>0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics</p> <p>ლიტერატურა და ლინგვისტიკა ამ დეტალური სფეროს მიზნებისთვის განმარტებულია, როგორც თავისუფლად მოსაუბრე პირებისთვის ენ(ებ)ის შესწავლა მშობლიურ ან სწავლების ენაზე. ის მოიცავს შესაბამისი ლიტერატურისა და ლინგვისტიკის შესწავლას. შეიძლება მოიცავდეს ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას. მოიცავს ზოგად ლინგვისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას და კონკრეტული ენის შესწავლის გარეშე შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას.</p> <p>Literature and linguistics is here defined as the study of language(s) intended for native, fluent or competent speakers of the language. It includes the study of related literature and linguistics and may or may not include the structure and composition of the language.</p> <p>Study of comparative literature is included here. Study of general linguistics (not related to the study of a particular language) is included here. Study of literature in general (not combined with study of a special language) is included here.</p> | | |

| | | | | |
|--|--|--|---|--|
| | | <p>0232.1.1 ქართული ფილოლოგია Georgian philology</p> <p>0232.1.2 აფხაზური ფილოლოგია Abkhasian Philology</p> <p>0232.1.3 ფილოლოგია Philology</p> <p>0232.1.4 ლიტერატურათმცოდნეობა Literary Studies</p> <p>0232.1.5 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები Comparative Literary Studies</p> | <p>0232.2.1 ლინგვისტიკა/ენათმეცნიერება Linguistics</p> <p>0232.2.2 ქართველური ენათმეცნიერება Georgian (Kartvelian) Linguistics</p> <p>0232.2.4. ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია Georgian Literature/History of Georgian Literature</p> <p>0232.2.5 (ამოღებულია - 27.07.2023, №71/5)</p> <p>0232.2.6 (ამოღებულია - 27.07.2023, №71/5)</p> | |
| | | <p>0239 ენები- არაკლასიფიცირებული Languages(Humanities with languages), not elsewhere classified</p> | | |
| | | <p>0239.1.1 კავკასიოლოგია Caucasiology</p> | | |
| <p>028 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს</p> | | <p>0288 ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს Inter-disciplinary – involving arts and humanities</p> | | |

| | | | | |
|--|--|--|---|--|
| | Inter-Disciplinary | 0288.1.1 თავისუფალი მეცნიერებები Liberal Arts 0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია Digital Humanities 0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები Cultural Heritage Studies | 0288.2.1 შუა საუკუნეების კვლევები Medieval Studies | |
| 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია Social Sciences, Journalism and Information | 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები Social and Behavioural Sciences | 0311 ეკონომიკა Economics შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიასა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას. Is the study of economic policy, economic theory and economic decisionmaking. | | |
| | | 0311.1.1 ეკონომიკა Economics | | |
